ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№3-19/01733132879-17

„27“ 02 2018 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორიაზე (საკ. კოდი №01.72.14.014.759) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (საამქრო/სტამბა — III კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება — №3011742 11.01.2017წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორიაზე მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

„1-7“ ფასადი: ფასადზე დამატებით მოწყობილია გამწოვი და საკომუნიკაციო მილები. „2-3“ მონაკვეთში შეცვლილია მინაბლოკის ღიობის გაბარიტები, ხოლო +3.90 ნიშნულზე გაუქმებულია ერთი მინაბლოკის ღიობი. „5-7“ მონაკვეთში დამატებულია გამწოვი მილი და დანადგარი.

„ა-დ“ ფასადი: ±0.00 ნიშნულზე, გაზრდილია ფანჯრების სიმაღლე 0.5 მ-ით. +3.90 ნიშნულზე, „ა-ბ“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ფანჯარა, ამავე ნიშნულზე „ბ-დ“ მონაკვეთში შეცვლილია ფანჯრების გაბარიტები.

„7-1“ ფასადი: „7-4“ მონაკვეთში შეცვლილია ფანჯრების ვიზუალი. „4-3“ მონაკვეთში შემცირებულია კარის სიმაღლე 0.5 მ-ით. „3-1“ მონაკვეთში შეცვლილია ფანჯრების ვიზუალი, ხოლო +3.90 ნიშნულზე გაზრდილია მათი სიმაღლე 0.1 მ-ით. ±0.00 ნიშნულზე, კარის თავზე შეცვლილია საჩრდილობლის გაბარიტები და ვიზუალი.

„დ-ა“ ფასადი: ±0.00 ნიშნულზე შემცირებულია ფანჯრების სიმაღლე 0.4 მ-ით და მონაცვლებული აქვთ ადგილი 0.5 მ-ით. +3.90 ნიშნულზე გაზრდილია ფანჯრების სიმაღლე 0.1 მ-ით. შენობის ძირში შეცვლილია ქვით მოპირკეთების გაბარიტები და ვიზუალი. ფანჯრების წინ დამატებულია ლითონის დამცავი მოაჯირები.

შენობაში გაუქმებულია რიგელები. ფასადებზე შეცვლილია ღებვის ფერი, ასევე წყალშემკრები მილების მოწყობა არ შეესაბამება საპროექტოს. ფასადებზე ნაწილობრივ შეცვლილია ფანჯრების ვიზუალი.

შენობის შეგნით „2-3“ მონაკვეთში შეცვლილია კიბის კონფიგურაცია და საფეხურების რაოდენობა, ასევე +3.90 ნიშნულზე, შემცირებულია კიბის უჯრედისთვის განკუთვნილი ღიობის სიგრძე 0.25 მ-ით. შენობის შიგნით კიბეზე არ არის მოწყობილი მოაჯირი. „ა-დ“ მონაკვეთში, მეორე სართულზე დამატებით მოწყობილია გადახურვის ფილა, შეცვლილია სართულის სიმაღლეები, ხოლო სახურავზე ქანობიანი გადახურვის ნაცვლად მოწყობილია ბრტყელი გადახურვა და შემცირებულია პარაპეტის სიმაღლე. „3-7“ მონაკვეთში შენობის ქანობიანი გადახურვის ნაცვლად მოწყობილია ბრტყელი გადახურვა და შემცირებულია პარაპეტის სიმაღლე 0.7 მ-ით. გადახურვებზე შემცირებულია პარაპეტის სისქე 0.1 მ-ით.

„1-7“ მონაკვეთში „ა-ა“ ღერძის გარეთ ქვით მოპირკეთების და გამწვანების ნაცვლად მოწყობილია ბეტონის საფარი, ხოლო „1-1“ ღერძის მიმდებარედ დამატებულია დაბალი საყრდენი კედელი. „7-7“ ღერძის გარეთ გაუქმებულია ბაქანი და მოპირკეთება. „1-1“ და „დ-დ“ ღერძების გარეთ არსებული რელიეფის ფორმა არ შეესაბამება საპროექტოს და გაუქმებულია დაბალი საყრდენი კედლები. „დ-ა“ მონაკვეთში „1-1“ ღერძის გარეთ გამწვანების ნაცვლად მოწყობილია ბეტონის საფარი. „7-7“ და „დ-დ“ ღერძების გარეთ ტერიტორია მოხრეშილია. „დ-დ“ ღერძის გარეთ გაუქმებულია ბაქანი და ქვით მოპირკეთება. „3-1“ მონაკვეთში, „დ-დ“ ღერძის გარეთ ტერიტორიაზე ბეტონის საფარი მოწყობილია შესასვლელი კარის პირზე, რითაც გაუქმებულია შ.შ.მ. პირთა პანდუსი. ფასადებზე შენობის ძირში ცოკოლის ნაწილი არ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **17-01180583597**

თარიღი: **27.02.2018**

ადრესატი:
მალხაზ სურმავა
პირადი ნომერი: 01024008761
მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, იპოლიტე ხვიჩიას ქუჩა, N 5-5ა, ბინა 7ა

თქვენი N22/01173313289-17 განცხადების პასუხად გეგზავნებათ ბრძანება ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

დანართი: ბრძანების ერთი ეგზემპლარი.

პატივისცემით,

ზედამხედველობის საქალაქო სამსახური - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე)

გიორგი გეჯაძე

არის გამოწეული ფასადის სიბრტყიდან. „დ-დ“ ღერძის გარეთ შემცირებულია ბეტონის საფარის გაბარიტები.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე მუხლის, ა.ს.კ. მე-2 მუხლის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-7 პუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 62-ე მუხლის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „ირიდესი“-ს ქ. თბილისში, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორიაზე (საკ. კოდი №01.72.14.014.759) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (საამქრო/სტამბა – III კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №22/01173313289-17 27.11.2017წ. განცხადება.
№წ-22/01173313289-17 28.11.2017წ. ბრძანება.

სამსახურის უფროსის მოადგილე გიორგი გეჯაძე